საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. ხუთშაბათი 25 თებერვალი 1919 წ. ბროლეტარელნო ყველა ქვეყანისა, შეერიფდით!

ერთობა

ფასი 75 კაპ.

ფასი: 1 თვეში 18 მანეთი ცალკე ნომერი ეღირება 75 კაპ. გამოცხადების ფასი, როგორიც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამეცლოვანიანი განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილი იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოწერილი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ ხელნაწერთა შესახებ რედაქცია არ იზრუნებს, ავტორებს ეკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც წიგნურ-მიწერას კისრულობს.

ადგილის შეუწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გან. „ერთობის“ რედაქცია ს

ᲓᲦᲔᲡ

ჩვენი საზავო დელეგაციის წევრები კ. ჩხეიძე და ირ. წერეთელი ტამბოლიდან მარსელში მივიდნენ. დანარჩენი წევრები ჯერ კიდევ სტამბოლში არიან.

— —

პოლონეთის მთავრობა იცვნეს მოკავშირეებმა.

ინგლისური პრესის ცნობით გენ. დენიკინის მთავარი ყურადღება ამ ჟამად მიქცეულია დონის ოლქისკენ, სადაც ბალშევიკები მძლავრ შეტევას აწარმოებენ.

მიუნხენში მინისტრ პრეზიდენტის მოკვლის შემდეგ მდგომარეობა გაურკვეველია. ბალშევიკების ცნობით ძალა უფლება ხელთ იგდო ჯარისკაცთა საბჭომ. გამოცხადებულია საალყო წესები.

კლემანსოზე თავდასხმა შეიდემანის აზრით იმის მაჩვენებელია, რომ ახლანდელი მდგომარეობა აუტანელია გერმანიის მტრების მშვიდობიანობის თვისაც.

რაა, რაც სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში შესდგა მუსულმანური მთავრობაო. ახალი საელჩწოფო უნდა შესდგეს ბათუმის, ყარსის, არაანის, სურმელის, ნახჯევანის და სხვა ოლქებიდან. უკვე მოხდა ეროვნული საბჭოს და პასუხის მგებელ კაბინეტის არჩევა. იმ ცნობებით, რომლებიც მიღებულია ჩვენ ქალაქში ახალი სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან, სომხური და ბერძნული ელემენტებიც იღებდენ მონაწილეობას არჩევნებში. მთავრობის სათავეში უნდა ჩადგეს ჯიდანკირ ბეი ყარსელი. დელეგაცია, რომელსაც შეადგენენ ატტიან-ზადე, ასსათ-ბეი და ხალილ ზადეალი-ბეი, ნმყოფება ეხლა ჩვენ ქალაქში და გაემგზავრება საზმვო კონფერენციაზე, რომ იქ დაიცვას ახალი სახელმწიფოს უფლებანი და მისწრაფებანი.“

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

საქართველოს დელეგაცია.

ინგლისის მისიის ოფიციალური ცნობით საქართველოს დელეგაციის წევრები ჩხეიძე და წერეთელი გაემგზავრნენ კონსტანტინოპოლიდან საფრანგეთში (მარსელში). დელეგაციის დანარჩენი წევრები ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლში იმყოფებიან.

ბრიტანეთის მისიის განცხადება.

ბრიტანეთის ჯარების მთავარ სადგომის გენერალურ შტაბთან არსებული საინფორმაციო ბიურო გვთხოვს გამოვაქვეყნოთ შემდეგი:

„ამას წინად თფილისის პრესაში იყო ცნობები, თითქოს საქართველოს მთავრობა, როცა ნებას რთავდა კავკასიის ოლქიდან ლტოლვილებს შემოსულიყვნენ საქართველოში, მოქმედებდა ინგლისის მისიის რჩევით. ჩვენ გვაქვს მონდობილება განვაცხადოთ, რომ ეს არ შეეფერება სიმართლეს. საქართველოს მთავრობის შეკითხვის შემდეგ, ბრიტანეთის ჯარის სარდალმა განაცხადა მხოლოდ ის, რომ რამდენადაც ეს ეხება ბრიტანეთის მმართველობას, უკანასკნელნი წინააღმდეგნი არ იქნებიან, რომ კითხვა გადიჭრას თანახმად საქართველოს მთავრობის მიერ წამოყენებულ წინადადებისა, ე. ი. იარაღის ყარით და მათ მცხეთაში ჩამოყვანით.

მათი გამოშვების, პირადი უშიშროების და სურსათის შესახებ პასუხისმგებლობა რჩება მთლიანად საქართველოს მთავრობაზე“.

ოზურგეთი. გურიაში დამფუძნებელი კრების არჩევნები დამთავრდა. მთელი მაზრის სოფლებში, ქალაქ ოზურგეთსა და ლანჩხუთის გამოკლებით, ხმების დათვლის შედეგი ასეთია: სიებში შეტანილი იყო—47,754 ამრჩეველი. ყუთებთან გამოცხადდა—38,510. აქედან № 1 მიიღო—36,400 ხმა, 2—633, 3—920, 4—2, 5—401, 8—13, 9—16, 11—5, და 12—6. ყალბი, სადათ და ცარიელი აღმოჩნდა—24. (საქ. დეპ. საგ.)

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ.

რაჭის მაზრაში. ის საშინელი თოვლი და ცუდი ამინდები, რომელიც არჩევნების დროს იყო მთელ მაზრაში, საშინლათ ხელს უშლიდა არჩევნების საასურველათ ჩატარებას. მიუხედავათ ამისა მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა დიდმა უმრავლესობამ.

სულ რაჭაში № 1 მიიღო 11,844 ხმა, 2—683, 3—415, 5—1064, 8—7, 9—20. **ს. ბიჭაშვილი.**

ბორჯომის რაიონში № 1 მიიღო 4290 ხმა, 2—21, 3—19, 4—5, 5—284, 8—4, 9—1, 11—16, 13—2, 14—5.

გომის ხაზოგადოება (სამტ. რაიონი), არჩევნები წესიერათ ჩატარდა. ხალხი ალტაცებით მიდიოდა ყუთებთან. № 1 მიიღო 2663 ხმა, 2—8, 3—15, 5—5, 9—3.

ქ. ახალციხეში დამფუძნებელ კრების არჩევნებმა ჩვენი ქალაქი გამოაფხიზლა. ყველამ იგრძნო მომენტის სიდიადე. საარჩევნო ყუთთან გამოცხადდა 1516 ამომრჩეველი. № 1 მიიღო 968 ხმა; 2—402, 3—28, 4—4, 5—100, 7—12, და 8—2.

ზორაპნის საზოგადოება 5 საარჩევნო უბნათ იყო დაყოფილი. სიაში შეტანილი იყო საერთოდ 4038. მონაწილეობა მიიღო 2624 № 1 მიიღო 2382 ხმა; 2—142; 3—33; 5—14; 7—3; 8—50.

ბაზალეთის საზოგადოებაში № 1—1519, 2—8, 3—12, 5—141, 7—127.

ჟინვალის საზოგ. № 1—1441, 2—71, 5—508.

საგურამოს საზოგ. № 1—2611, 2—1, 3—1, 5—352.

მცხეთის საზოგ. № 1—1090, 2—25, 3—4, 5—817.

ქვემო მთიულეთის საზ. № 1—706, 2—32, 4—1, 5—69.

მუხრანის საზ. № 1—1760, 2—2, 3—37, 5—139.

ახალგორის საზ. № 1—999, 3—513, 5—401.

ლეხურის საზ. № 1—946, 3—62, 5—17.

მონასტრის საზ. № 1—517, 5—175.

ნიგოითი (გურია). საარჩევნო სიაში შეტანილი იყო 1280 ამომრჩეველი: მიიღო № 1—1247 ხმა, 2—2, 3—3, 5—28.

ხუფსა (გურია). სიაში იყო შეტანილი 1747. № 1 მიიღო 1501 ხმა. 2—13; 3—52, 5—4.

არჩევნების დღეს გაავრცელეს ბალშევიკებმა პროვოკაციული ფურცლები, რომელშიაც მოუწოდებდენ ხალხს არჩევნებში მონაწილეობა არ მიეღოთ და ბოიკოტით შეხვედროდენ, მაგრამ ხალხში ასეთ ფურცლებს არავითარი გავლენა არ მოუხდენიათ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

დღეს, ხალამოს 5 საათზე, დანიშნულია საქ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ დამფუძნებელი კრების გარშემო. 22 თებერვალს ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგა ს. ს. დ. ცენტრალური და თფილისის კომიტეტების, ყველა რაიონული კოლექტივების, ქვე კოლექტივების და პარლამენტის სოც. დემ. ფრაქციის შეერთებული კრება. დამფუძნებელი კრების შესახებ მოხსენება გააკეთა ნ. ჟორდანიამ. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: კ. ნინიძემ, რ. არსენიძემ, ივ. გეგეჭკორმა, გრ. ურატაძემ და სხ. მოხსენებას და რეზოლიუციას შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

◆ ნიკოლთს კაციაშვილის დასაფლავება. ნ. კაციაშვილის დასაფლავება მოხდა კვირას, 23 თებერვალს, სოფელ ქვემო გომის ეკლესიის გალავანში. დასაფლავებას დაესწრო ს. ქვემო გომის საზოგადოება და სახალხო გვარდია. სხვა ახლო-მახლო სოფლებიდან სიშორის გამო დაესწრენ მხოლოდ წარმომადგენლები: ს. მეჯვრისხევიდან, ძეგვიდან, ახალქალაქიდან, კავთისხევიდან, ხაშურიდან, გორიდან და ბევრ სხვა ადგილებიდან. ქალაქ თფილისიდან დასაფლავებას დაესწრენ სასოფლო კომისიის, საქ. სოც.-დ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის და გაზ. „ერთობის“ წარმომადგენლები. საფლავზე წარმოთქმულ სიტყვებში ორატორები აღნიშნავდნენ განსვენებულ კაციაშვილის ოცი წლის თავდადებულ მოღვაწეობას მშრომელ ხალხის საკეთილდღეოთ და მის მაღალ ზნეობას. სამგლოვიარო ჰიმნს უკრავდა ხაშურიდან ჩამოყვანილი მეორ მუსიკა.

◆ ახალციხის ფრონტზე მებრძოლ სახალხო გვარდიის მთავარ სარდლათ სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა დანიშნა გენერალი ახმეტილაშვილი.

◆ თფ მილიციის საკმეთა რევიზია ახლო ხანში დამთავრდება. მილიციის წევრთა ბოროტ-მოქმედების შესახებ მოქალაქეთაგან საჩივარი მიიღება 14 მარტამდე.

◆ ხალამი ხახ. გვარდიის მთავარ შტაბს და ნოე ჟორდანიას. „შაბათს, 22 თებერვალს, სამტრედიაში გაიხსნა ქუთაისის მაზრის სახალხო გვარდიის ქვერაიონულ წარმომადგენლების მეორე კონფერენცია. კონფერენცია ხალამს უძღვნის გვარდიის მთავარ შტაბს და მის საპატიო თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას და გამოსთქვამს მტკიცე აზრს იმისაც, რომ ყოველ კრიტიკულ მომენტის დროს ქვე რაიონული შტაბები ერთსულოვანი შეკავშირებით დარაზმავს გვარდიას და ყოველ მხრივ დაიცავს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთლიან სახელმწიფოებრიობას. კონფერენციის თავმჯდ. კვირნ ძე.

◆ გარდაცვალებულ პრაფესორ ოსეს ყიფშიძეს დაკრძალავენ დღეს დიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში, ქვაშვეთის ეკლესიიდან 12 საათზე ცხედარს წაასვენებენ დიდუბეში, გოლოვინის და მიხეილის პროსპექტით.

◆ მთავრობაში. 20 თებერ. სხდომაზე მთავრობამ დაადგინა შესდგეს კომისია შინაგან საქმეთა, მიწათ-მოქმედების და სამხედრო სამინისტროების წარმომადგენელთა შემადგენლობით იმის ადგილობრივად გამოსარკვევად, თუ ვინ, რა პირობებში და რამდენად დაზარალდა სადასლოს რაიონში ომის გამო. კომისიამ თავისი მოხსენება უნდა წარუდგინოს მთავრობას 10 დღის განმავლობაში.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობი სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ადერბეიჯანთან სადამოენო შეთანხმების პროექტის ორივე ვარიანტი, პირველი დამატებით (შეთანხმების დროს ერთი წლით განსაზღვრის შესახებ) მოწონებულ იქნას და დაეგზავნოს ფინანსთა მინისტრს ახლო მომავალში გაემგზავროს ბაქოში ხელშეკრულების საბოლოოდ დასადებად. ამასთანავე შეეცადოს ფინანსთა მინისტრი ხელშეკრულობას საფუძვლად დაუდოს პროექტის პირველი ვარიანტი, და თუ ეს არ მოხერხდა—მეორე. დაეგზავნოს აგრეთვე ფინანსთა მინისტრს გამართოს მოლაპარაკება ადერბეიჯანის მთავრობასთან ბონების გამოცემის შესახებ იმავე პირობებით, როგორც სომხეთთან.

გაეხსნას იუსტიციის სამინისტროს ათ-მილიონიან ფონდიდან 39,000 მანეთი კრედიტი სოხუმის დროებითი საგანგებო სასამართლოს შენახვისა 1919 წლის თებერვლისა და მარტის განმავლობაში.

◆ მკვლელობა და გაძარცვა. 23 თებერვალს ღამით 8. არაქელოვის ბინიდან, მუხრანის ქუჩა № 20, რამოდენიმე შეიარაღებულ ბოროტ გამბრალველებმა ხანჯლით მოჰკლეს მარიამ არაქელოვი, წაიღეს 10 ათასი მანეთი და მიიმალენ.

◆ ტუხაჩის გაქცევა. 23 თებერვალს დღის 12 საათზე მეორე ნომერ ციხიდან გაიქცა ა. კვერცხაშვილი, რომელსაც ბრალდებოდა ციციანოვების მკვლელობა გორის მაზრაში.

◆ შინაგან საქმეთა მინისტრმა წარუდგინა მთავრობას პროექტი სვანეთში მილიციონერთა შტატების გადიდების შესახებ.

◆ ლექცია. სამშაბათს, საღ. 6 საათზე, 25 თებერვალს, ნაძალადევის თეატრში ექ. ნ. ტურაშვილი წაიკითხავს „ნადაგის და წყლის ურთიერთობა ჯანმრთელობასთან“.

◆ დაკარგული ბავშვი. 18 თებერვალს სახლიდან (ნაძალადევი) წავიდა და შინ აღარ დაბრუნებულა ჩემი ვაჟი ივლიტა; ნიშნები: ქერა შეხედულებისა, ჭრელი თვალები აქვს. თუ ვინმემ რამე იცის ვთხოვ შეატყობინოს ბავშვის მამას. პირველ რაიონის შტაბში გვარდიელ მეხელე კოპლამაშვილს.

◆ სახალხო გვარდიის სახარგებლოთ. კომისიის წევრი სტ. პარკუმაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 12 დეკემბერს 1918 წ. ყელაბებით გვაჩვენეს სასარგებლოთ შეგროვდა 49,876 მ. 29 კაპ.

◆ კომფერენცია ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა გაიხსნება დღეს, საღ. 5 ს. მეოთხე კოლექტივის შენობაში (ოლღას ქ. 29).

◆ ნაძალადევის წიგნთსაცავ-სამკითხველო უმორჩილესად სთხოვს ყველა იმათ, ვისაც სახლში აქვს წაღებული წიგნები ამ მოკლე ხანში დაბრუნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი სახელი და გვარი გაზეთებში იქნება გამოცხადებული. სამკითხველოს გამგე.

◆ თავდაცვისთვის. მე 50 საარჩევნო კომისიამ ქალაქის თვითმმართველობა, მისაგან მიიღო სახარჯოთ სამასი მანეთი, რომლისგან დაიხარჯა ას ოცდა ათი მანეთი, დანარჩენი კი კომისიის დადგენილებით გადაიდო თავდაცვის ფონდის სასარგებლოთ. სულ გადაეცა 170 მანეთი *). კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე ლუარსაბის ძე ხეთერელი.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ.

ᲨᲐᲨᲣᲠᲘ. შაბათს, 1 მარტს ხაშურში თფილისის სახელმწიფო დასის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება სიო ჭინტურიშვილის დრამა „ბურგუსი“. პიესა და გმფელი იქნება იმ შემადგენლობით, როგორც თფილისის სახელმწიფო თეატრში. კვირას, 2 მარტს, ამავე პიესას დასდგამენ გორში. „ბურჟუსისათვის“ დასი საგანგებოთ არის მომზადებული. მთავარი როლი დაკისრებული აქვს მასხიოს ზარდალიშვილს.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დელეგაციათა სააგენტო)

23—24 თებერვალი.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

გუშინ კლემანსო ცოტა ხნით ბალში გამოვიდა. ექიმების სიტყვით მისი მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფი-

*) 170 მანეთი რედაქციამ მიიღო დანიშნულებისამებრ გადასაცემათ.

ლებელია, თუმცა ბრძოლობა უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ფიქრობენ. ტყვიას არ ამოაცლიან. ავტორიტეტიანი ექიმები ამბობენ, რომ ტყვიას გაუღია მარჯვენა ფილტვის ზემო ნაწილში.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ თანახმად დროებითი ზავის ახალი პირობისა, გერმანელებმა შესწყვიტეს სამხედრო მოქმედება პოლონეთში.

დენიკინის მოხალისეთა ჯარმა კასპიის ზღვას მიაღწია, 12 დღეში 350 ვერსი გაიარეს და ტყვეთ წამოიყვანეს 31,000 კაცი. წითელი არმიის 100,000 ჯარი დამარცხდა. ამ გამარჯვებამ დენიკინს საშუალება მისცა მთელი თავისი ყურადღება მიაქციოს დონის ფრონტს, სადაც უკანასკნელ ხანს ბალშევიკებმა მძლავრი შეტევა დაიწყეს.

ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. უფა. 22 თებ. ფრონტიდან ახლო მდებარე სოფლებში თავი მოიყარა თეთრგვარდიელებმა. **ეკატერინოსლავი.** 18 თებ. იუზოვკის რაიონში მდგომარეობა ცუდია. კრებები აკრძალულია. მუშები მიმდინარე მომენტის განსახილველათ ფარულ კრებებს აწყობენ. მობილიზაცია, რომელიც ყაზახებმა გამოაცხადეს, ცუდათ მიდის. მოგროვილი ჯარისკაცები ჩვენს ჯარში გადმოდიან. რეპრესიების გამო მუშები გაურბიან სამუშაოს. ყაზახთა შორის მღელვარებაა. **კენიგსბერგი.** 20 თებ. ცენტრალურმა მთავრობამ ბრძანება გასცა შეიჭრონ მატარებელთა მიმოსვლა პოზნანის იმ ნაწილში, რომელიც პოლონელებმა დაიპყრეს. **რიგა.** 22 თებერ. ოფიციალურათ იუწყებიან, რომ მას შემდეგ, რაც პოლონეთის სეიმმა იცნო პადარევსკის მთავრობა, მოკავშირეებმაც იცვნეს პოლონეთის მთავრობა. **მიუნხენში** მდგომარეობა ჯერ კიდევ გამოურკვეველია. ძალა-უფლება ხელთ იგდო ჯარისკაცთა საბჭომ. გამოცხადებულია საალყო წესები. ბურჟუაზიულ გაზეთების ბეჭდვა აკრძალეს. გალიციის ოლქში, სილეზიაში, ჩეხო-სლოვაკთა გამოსვლის გამო მდგომარეობა თანდათან მწვავდება. ჩეხოსლოვაკთა ჯარის რიცხვი 150,000 აღწევს. მათ დიდ ძალი იარაღი და სხვა სამხედრო მასალა აქვთ საფრანგეთიდან მიღებული. შკოდას და სხვა ქარხნები გამუდმებით მუშაობს ჩეხიის არმიისთვის, რომელსაც აქვს არტილერია და ჰაეროპლანები. **კანრაფონი.** 23 თებერ. ვილჰელმის უმცროსი შვილის პრინც იოაქიმის დაპატიმრების გამო მიუნხენში მოხდა რამდენიმე პოლიტიკური გამოსვლა და თავდასხმა. პრინც იოაქიმის დაპატიმრებას კავშირი აქვს ეისნერის მოკვლასთან. ნაუენი, 22 თებერვალი. მიუნხენში ოფიცერმა მოკლა ბავარიის პრეზიდენტი დამოუკიდებელი მემარცხენე სოციალისტი ეისნერი. ეისნერის სიკვდილის შემდეგ თავდასხმა მოახდინეს მინისტრ აუერზე, როდესაც ლანდტაგში სიტყვას ამბობდა იმ ბოროტების შესახებ, რომლის მსხვერპლათ ეისნერი შეიქნა. სიტყვის დროს გაისმა სროლა. უცნობი აუერს მივარდა და მძიმეთ დაჭრა. დიპუტატთა დარბაზში ტრიბუნიდან შეიქნა სროლა. დაიჭრა კიდევ რამდენიმე კაცი. აუერი ლაზარეთში წაიყვანეს. მას ოპერაცია გაუკეთეს. „ფორვერტსის“ ცნობით აუერი ჭრილობისაგან გარდაიცვალა. მიუნხენში ამის გამო საპროტესტო მანიფესტაციები გაიმართა. მუშებს მოუწოდებენ გაიფიცონ. ხდება მრავალრიცხოვანი კრებები. მუშები ქუჩებში გამოდიან, მაღაზიები დაიხურა. **დონის როსტოვი.** 20 თებერვალი. „პროიზოვსკი კრაი“ იუწყება, რომ დონის ყაზახთა „ყარილობამ დახურულ სხდომაზე უნდობლობა გამოუცხადა დონის ჯარის სარდალს გენ. დენინოვს. გენ. კრასნოვმა ეს უნდობლობა თავის თავზე მიიღო და თან მდგომიდან გადადგა. ატაბანობა დროებით გენ. ბოგაევსკის გადაეცა. გაზეთები იუწყებიან, რომ ამის გამო როსტოვსა და ნოვოჩერკასკში პანიკაა. ბურჟუაზია გასაქცევათ ემზადება. კრასნოვი ნოვოროსიისკში გაიქცა. ოფიცრები გარბიან. კამენდანტმა ბრძანება გასცა, რომ ისინი დაიჭირონ და დაპატიმრონ.

იამბურგი. თებ. 22. ნარვის ფრონტზე ბრძოლაა, ჩქარობს ჯარმა ნარვიდან სამი ვერსით მდებარე სოფელი დაიჭირა. **ლიტვის შტაბის სამხედრო ცნობა.** თებ. 21. ვოლმარის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა რკინის გზის ხაზი გადალახა. ჩვენ დავიჭირეთ პოლკატი, მაგრამ იძულებული შევიქენით ისევ დაგვეტოვებია. მიტავის მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია. ლიბავის მიმართულებით ადსანიშნავი არაფერი. უპინის რაიონში მოწინააღმდეგის მზვერავი რაზმი უკუ ვიქციეთ. კუნგურის მიმართულებით, ანდრეევკის აღმოსავლეთით მოწინააღმდეგის პოზიცია დავიჭირეთ. პერშის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა კაზაკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით სიმაღლეები დაიჭირა. **რიგა.** თებ. 20. ლატვიის მთავრობის საბჭომ მიიღო ლატვიის რევოლიუციონურ მთავრობისაგან განცხადება, საიაც გამოთქმულია სურვილი შეუერთონ ლიტვას ქალაქი პოლანგენი, რომელიც კურლანდია პრუსიის საზღვარზეა და ლიტოველებით დასახლებულ მხრისკენ იმყოფება. **რიგა** თებ. 20. შაველის სამხედრო რევოლიუციონურმა კომიტეტმა გამოსცა ბრძანება ყველა ოფიცრების, მოზელელების და უნტერ ოფიცერთა რეგისტრაციის შესახებ. **ჩერნიგოვი** თებ. 23. იამპოლის მაზრაში გამოჩდენ პეტლიურას ბანდის ნაწილები და არბევენ მშვიდობიან მცხოვრებთ. **ბერლინი.** თებ. 15. „ბერლინერ ტაგებლატ“-ში მოთავსებულია რადეკის დამცველის ვეიმბერგის წერილი, სადაც უარჰყოფს ოფიციალურ ცნობებს ბერლინში რადეკის არა ლეგალურათ ჩამოსვლის შესახებ. რადეკი თავისი ნამდვილი სახელით და გვარით ჩაეწერა საპოლიციო უბანში. **ნაუენი.** თებ.. გერმანიაში უმუშევართა რიცხვი მილიონზე მეტია. ბერლინში 240,000 უმუშევარია. რეინ ვესტფალის ოლქში, ქალაქი ბოტროპი სპარტაკელებმა დაიჭირეს არტილერიის დახმარებით. ბოტროპში მცხოვრებთა რიცხვი სამოცდა ათი ათასს აღწევს. გერნსტენბერგის კონტრრევოლიუციონერთა დივიზიის რევოლიუციონური საბჭო, რომელიც ვილსგაუენში იყო, მთავრობის განკარგულებით დაიშალა. ბუდაპეშტში პოლიციელებსა და კომუნისტებს შორის შეტაკება მოხდა. მოკლულია 4 კაცი, მძიმეთ დაიჭრა 20. კომუნისტებმა პარლამენტთან მოიყარეს თავი, უნდოდათ სასახლისკენ წასვლა და მოეთხოვათ მთავრობის გადადგომა. სასახლისკენ მიმავალი ქუჩები ჯარმა დაიჭირა. ხიდებზე მხოლოდ განსაკუთრებული მოწმობების მქონენი უშვებდენ. მათ წინ და წინ ჩხრეკდენ. **გაზ. „კრასნოე ზნამიას“** რედაქციაში 13 კომუნისტი დაიჭირეს. **პარიზი.** თებ. 22 შეერთებული შტატები რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულებას ანახლებს. **ლიონი** თებ. 22. პოლონეთის ზეიმმა გადასცა სახელმწიფო სამართველო გენერალ პილსუდსკის იმ პირობით, რომ საკანონმდებლო უფლება ეკნება სეიმს. **რიგა.** თებ. 21. რიგის საბჭოს სხდომაზე სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ სტუჩკამ თავის მოხსენებაში განაცხადა ლატვიის სამხედრო მოქმედების თანდათან გაუმჯობესების შესახებ. **კიევი.** თებ. 21. კიევის სადგურებზე, პეტლიურას უკან დახევის შემდეგ, დარჩა 79 ორთქმავალი და 800 ვაგონი. მთელი რკინის გზის ხაზი საბჭოთა ჯარის ხელშია. **ორენბურგი.** თებ. 21. სახალხო სამეურნეო საბჭომ ყველა საგაჭრო-სამრეწველო დაწესებულებას კონფისკაცია უყო. **ალექსანდრია.** 22 თებ. როსტოვ-კიევის რკინის გზაზე მდებარე სოფლებში სდგება რაზმები, რომელიც პარტიზანულ ომს აწარმოებენ სეჩევიკებთან. **კარნაფონი.** 22 დებ. წითელი ჯვრის ინტერნაციონალურმა კომიტეტმა წინადადებით მიმართა ყველა წითელი ჯვრის ორგანიზაციებს თავი მოიყარონ ჟენევაში კონფერენციაზე დასასწრებლათ, რომელიც ზავის შეკვრისთანავე გაიხსნება. **კოვნო.** 22 თებ. კოვნოში სამხედრო წესებია გამოცხადებული. კრებები აკრძალულია. კომუნისტებს ჩხრეკენ და პატიმრებენ. რუსული ფული ალარ იხმარება. ამ ფულების შემოტანა აკრძალულია. კოვნოში შესვლა აკრძალულია ტარიბასა და გერმანელებს შორის დამოკიდებულება გამწვავდა. გერმანელები არ აქცევენ ყურადღებას ტარიბას განკარგულებებს, ადგილობრივ მცხოვრებლებსა და გერმანელებსა და ტარიბას შორის უკმაყოფილებაა. **კიევი,** თებ. 22. ოდესაში უმუშევართა რიცხვი 50,000 აღწევს. ნიკოლაევში მუშებმა დაადგინეს შემოიღონ 8 ს. სამუშაო დღე. **ხარკოვი,** თებ. 22. გეტმანის დაცემის შემდეგ არეულობა დაიწყო. ადგილობრივ მაჰმადიანები. შაკრის ქარხანა დაარბიეს. საბჭოთა ჯარის მოსვლის შემდეგ ცხოვრება ისევ ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. **რიგა.** თებ. 22. 1 მარტისთვის მოიწვევენ ლატვიის სახალხო. მეექვსე კონგრესს. **რიბინსკი.** თებ. 25. წითელ არმიის პატივსაცემად გაიმართა გრანდიოზული მანიფესტაციები. მოქალაქეებმა ერთი დღის ჯამაგირი, და თეატრებმა და ელექტრო-თეატრებმა იმ დღის შემოსავალი წითელი ჯვრის სასარგებლოთ გადასდეს. თებერვლის [illegible] ალაბიდან ბერლინში მოვიდა გერმანულ ავსტრიის საგარეო საქმეთა სტატს სეკრეტარი ბაუერი იმ მიზნით, რომ გადამწყვეტი მოლაპარაკება გამართოს გერმანულ ავსტრიის გერმანიასთან შეერთების შესახებ. ამის გამო „დოიტშე ალგემაინე ცაიტუნგი“ და „ბერლინერ ტაგებლატი“ იხსენიებს 1918 წლის ნოემბრის 12 გერმანულ ავსტრიის დროებითი ეროვნულ ყრილობის გადაწყვეტილებას, რომელშიაც ნათქვამია, რომ გერმანული ავსტრია გერმანიის რესპუბლიკის ნაწილია. „ბერლინერ ტაგებლატი“ აღნიშნავს, რომ ამ დადგენილების სისწორე დამტკიცა გერმანულ ავსტრიის საბოლოო ეროვნულ ყრილობის არჩევნებმა და ეს დადგენილება ხალხის ნამდვილი ნებისყოფის გამომხატველია. „დოიტშე ალგემაინე ცაიტუნგი“ აღნიშნავს იმ როლს, რომელსაც მომავალში ითამაშებს გერმანულ ავსტრიის შემოერთება. **ადენა.** თებ. 15 რუსეთის მოხალისეთა არმიის ჯარისკაცთა შორის ოდესაში სპეკულიაცია გაბზარდა. მოხალისენი რეკვიზიციის სახით ბლუზებს სძარცავენ. ოდესაში მოხალისეთა რიცხვი 5000 აღწევს, ამათში თითქმის ყველა ოფიცერია. სევასტოპოლში ბრძოლაა თეთრგვარდიელების გენერალ ლუკომსკის და დენიკინის შორის უფლების ხელში ჩასაგდებათ. უკიდურეს მემარჯვენე ელემენტების და ოფიცერთა შტაბის ძალდატანებით დენიკინი ყირიმში აპირებს დიქტატურის გამოცხადებას და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლების დაწყებას. დენიკინმა ქალაქის საბჭო განდევნა. **ნაუენი.** 22 თებერვალი ბუდაპეშტში უმუშევარ კომუნისტების კრებამ მიიღო რეზოლიუცია დაუყონებლივ ყველა მუშების შეიარაღების შესახებ. 300 კომუნისტი გაემგზავრა სოციალდემოკრატიულ გაზ. „ფოლკსშტიმეკენ“ და ეცადნენ რედაქციის დარბევას. მათ პოლიცია და ჯარი გადაეღობა. სახლებიდან ნასროლი ტყვიით 2 პოლიციელი მოკვდა. მთავრობის ჯარმა ტყვიისმფრქვეველები ამუშავა. ნახევარი საათის განმავლობაში ნამდვილი ბრძოლა იყო. მოკლულია 4 კაცი, მძიმეთ დაიჭრა 20. **ვინი.** 17. დემონსტრანტების მხრით დაიჭრა 68. კომუნისტებს აპატიმრებენ. ლიტვის სამხედრო ცნობა. ვალმარის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა არძოლით დაიჭირა ნეიკარხელი, ნურკმე და სტერტე. დანარჩენ ფრონტზე წინ მიეწევთ. ჩვენმა ჯარმა გაიანმ გუვირის ხაზი დაიჭირა. ბირზულის მხრიდან ოდესა 170 ვერსით მივუახლოვდით. **21** თებერვალს ღამე საბჭოთა ჯარის რაზმმა მიუახლოვდა სადგ. კოლოსოვკას, რომელიც ოდესიდან 60 ვერსითაა დაშორებული. მოხალისეთა ჯარს სროლა აუტეხა. მოხალისეებმა სადგური მიატოვეს და უკან დაიხიეს. საბჭოთა არტილერია მტერს ესვრის. ვოზნესენსკის და კოლოსოვკას შუა ურთიერთობა შეწყვეტილია. მტერმა უკან დახევისას დაანგრია ტელეგრაფი და რკინის გზის ლიანდაგი. პოლონელ ლიტველთა რევოლიუციურმა პარტიზანულმა რაზმებმა კოველი დაიჭირეს. ამნაირათ მთელი ხაზი კოვნ-ბრესტლიტოვსკის საბჭოთა ჯარის ხელშია. **კიევი** თებ. 22. სად. მალინზე მზვერავები გავგზავნეთ, აღმოჩნდა, რომ ადგილობრივ მუშათა რაზმებს პეტლიურას ჯარი გაეფანა. საბჭოთა რეგულიარული ჯარი პეტლირას ჯარს კოროსტენიდან ჟიტომირისკენ სდევნის.

ᲨᲐᲢᲐᲜᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

მოკავშირეთა მისიის პატივსაცემად გამართულ სადილზე გენ. პილსუდსკის შემდეგი სადღეგრძელო სთქვა: „ახლა როდესაც იწყებს პოლონეთი დამოუკიდებელ ცხოვრებას, თქვენ მოსვლაში ხედავს სფრვილს მისი თავისუფლების გამტკიცებისას, რომელიც შეეშინა მოკავშირეთა გამარჯვებამ. პოლონეთი, რომელსაც ომის განმავლობაში არა ერთ-არ დაუკარგავს მოკავშირეთა გამარჯვების იმედი, გულმხურვალედ გეესალმება თქვენ და თქვენი მუდმივ მოკავშირეთ დარჩენა ჰსურს“. ნულანსმა შეადეგი უპასუხა: „მოკავშირეთა მთავრობის თანხმობა უზრუნველჰყოფს თქვენ იმედების განხორციელებას და ხელს შეუწყობს თქვენს აყვავებას და დემოკრატიულ თავისუფლების განმტკიცებას.

სტრასბურგიდან იუწყებიან, რომ კლემანსოზე თავდასხმის ამბავმა დიდი აღშფოთება გამოიწვია. ყველა ფრანგული გაზეთები უსურვებენ მას მალე ჩენას და მოღვაწეობის გაგრძელებას.

სხვა დეპეშათა შორის კლემანსოს თანაგრძნობის დეპეშა მოუვიდა ინგლისის სოციალისტებისაგან.

მეფე ვიქტორ ემანუილმა თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა კლემანსოს, სადაც მწუხარების გამოსთქვამს მისი დაჭრის გამო და უსურვებს მალე მოჯანას. კლემანსომ მადლობის პასუხი გაუგზავნა.

დანციგიდან ცნობაა, რომ იქ მოელინ ინგლისის და საფრანგეთის ოფიცრებს, რომლებიც ნავთსადგურში მდგარ [illegible] ბრძოლებს დაათვალიერებენ.

ნორვეგიის გამოჩენილმა იურისტმა ფრიდრიხ შტანგმა აღნიშნა, რომ აქამდე ნორვეგიის მეცნიერება გერმანიის ძალიერ გავლენას გ ნიცდიდა ამიერიდან ყურადღება უნდა მიექცეს დასავლეთს განსაკუთრებით საფრანგეთს. ფრანგულ ენას კვლავ პირველი ადგილი უნდა დაეთმოს მასწავლებლებში.

სტამბოლის გაზეთების ცნობით სარტენდანტოს უფროსს იზმაილ ოსკარ ფაშას ერთი წლის ციხე მიუსა

შონი და ესაუბრა მას მიმდინარე საკითხებზე.

სირიის ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარემ ქალბატონ შემდეგი დეპეშა მიიღო: „ლიბანი-სირიის კომიტეტი ქალაქში, რომელიც გამოხატავს ეგვიპტეს ქალაქების მცხოვრებთა სურვილებს, გაკვირვებულია და გამოსთქვამს შიშს ხალგოზის წარმომადგენელთა მოთხოვნილების გამო. უმორჩილესათ გთხოვთ სახვავო კონფერენციაზე განაცხადოთ ენერგიული პროტესტი. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მოკავშირენი გადაარჩენენ სირიას, რომელიც დიდხანს იტანჯებოდა და მისი მიწა-წყალი არავის გადაეცემა“.

გაზ. „ტანის“ ცნობით სახვდაო მინისტრმა თებერვლის 19 ის სხდომაზე სამეუჯეტო კომისიის შეკითხვაზე გერმანიის გემების განადგურების შესახებ განაცხადა, რომ ის ასეთი ზომის წინააღმდეგია. მას საჭიროთ მიაჩნია ეს გემები გაინაწილონ მოკავშირეებმა, რომელნიც გემებს თავის თავის სურვილისამებრ გამოიყენებენ. ეს შეხედულება მოიწონა საბიუჯეტო კომისიამ.

რუმინიის სწავლა განათლების მინისტრი ანგელესკო, რომელიც დანიშნული იყო იმ კომისიის თავმჯდომარეთ, რომელსაც გერმანიის ოკუპაციისგან მიყენებულ ზარალის გამორკვევა ჰქონდა მინდობილი, მინისტრ-პრეზიდენტს ბრატიანოს წარუდგინა მოხსენება ხსენებულ კომისიის მუშაობის შესახებ. ცენტრალკომისიის ოთხივე სახელმწიფოს ჯარებს რუმინეთისთვის 28 ნახ. მილიარდი ფრანკის ზარალი მიუყენებიათ ხოლო რუსის ჯარს—4 მილიარდ ფრანკისა.

გაზ. „ტან“-ს კოპენჰაგენიდან აუწყებენ, რომ სახვაო კონფერენციაზე მიემგზავრება დანია შლეზვიგის დეპუტაცია, რომელშიაც შედის რიქსდაგის 4 წევრი და 4 შლეზვიგელი დანიელი. ერთ და იმავე დროს კოპენჰაგენიდან გავა ეკონომიური მისია სტატს-სეკრეტარის თავმჯდომარეობით. დეპუტაცია ზღვით გაემგზავრება. პარიზში მას მარტის 5 მოელიან. ნორვეგიელი გაზეთი „ტინენ ტიდენერი“ მოითხოვს, რომ გაიგზავნოს ნორვეგიის დელეგაციაც, წყალქვეშა ომის გამო ნორვეგიისთვის ზარალის მიყენების და კუნძულ შპიცბერგენის საკითხებზე ნორვეგიის შეხედულობის დასაცავათ.

კურტ ეისნერის მოკვლამ დიდი მღელვარება გამოიწვია მიუნხენში. გაიმართა დიდი დემონსტრაციები, განსაკუთრებით რედაქციების წინ. კურტ ეისნერი ელოდა ასეთ ტრადიკულ სიკვდილს მას შემდეგ, რაც ბერნის სოციალისტურ კონფერენციაზე საშხედრო ტყვეების შესახებ წარმოსთქვა სიტყვა, სადაც მან აღნიშნა გერმანიის პასუხისმგებლობა, და დაასურათა, თუ როგორ ეპყრობოდენ ბელგიის და ჩრდილო საფრანგეთის მცხოვრებთ.

მრიუსელში მიიღეს ჰოლანდიის მთავრობის მემორანდუმი, სადაც ბელგიის მთავრობას სთხოვენ აცნობონ მას, რას მოითხოვს ბელგია სახვაო კონფერენციაზე, რადგან ნიდერლანდია დაინტერესებულია ამ საკითხით.

დიდ სახელმწიფოთა დელეგატებმა სახვაო კონფერენციის პარასკევის სხდომაზე განიხილეს ეკონომიური საკითხები. „პტი-პარიზიენი“ იუწყება მოკავშირეთა და ნეიტრალურ სახელმწიფოთა შორის კომერციულ პოლიტიკაზე თათბირის შემდეგ, დელეგატებმა გადასწყვიტეს დაარსონ ეკონომიური კომისია, რომლის მიზანი იქნება: 1) საერთო ეკონომიურ პირობების განხილვა, რომ ხალხთა შორის კომერციულ პირობებში თანასწორობა დამყარდეს. ეს პრინციპი წარმოადგინა ვილსონმაც, 2) იმ დადგენილებათა შესწავლა, რომელიც ეხება (დამახინჯებულია) ნავოსნობას. გამოიძებნოს საშვალება უპატიოსნო კონფერენციის წინააღმდეგ. 3) დაწვრილებითი და მიუდგომელი განხილვა იმ საკითხებისა, რომელიც ეხება მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა შორის ომამდე დადებულ ხელშეკრულებას; 4) განხილვა ეკონომიურ კონვენციებისა, რომელსაც საერთაშორისო ხასიათი აქვს.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

(დასაწყისი მიღებული არაა). თებერვლის 11 დამოუკიდებელმა სოც.-დემ. გამოუშვეს პროკლამაციები, რომელშიაც საყოველთაო გაფიცვას აცხადებენ. მათ შეუერთდა მუშათა ორგანიზაციები, დამოუკიდებლები და სპარტაკელები პროკლამაციებში ხალხს მოუწოდებენ შური იძიონ ეისნერის მოკვლის გამო. მიუნხენში უკანასკნელ ამბების გამო ამბოხება მოხდა. დაიწყო საყოველთაო გაფიცვა და 8 მემარჯვენე გაზეთის რედაქცია დაიკავეს. ეს გაზეთები აღარ გამოდის. ნიურნბერგში, სადაც ის იყო წესიერება აღადგინეს, ხელახლათ იფეთქა საყოველთაო გაფიცვამ.

თებერვლის 21 ნაშუადღევს დამოუკიდებლებმა და სპარტაკელებმა დაადგინეს გაფიცვა შესწყვიტონ რურის რაიონში. მაღაროს მუშებმა განაცხადეს, რომ სპარტაკელებმა ძალით, იარაღით ხელში, შეაწყვეტინეს მათ მუშაობა. როგორც სჩანს შეიდემანის და ნოსკეს განცხადებიდან, რითაც უნდა დაუჯდეთ აღადგინონ წესიერება რურის ოლქში, გაგლენა იქონია იქაურ მუშათა ბნელ მასაზე.

მრავალ ადგილში მღელვარება გაძლიერდა, რაც გამოწვეულია ეისნერის მოკვლით. ეისნერის მოკვლ ხელებს უხსნის და ხურგს უმაგრებს სპარტაკელებს, რომელნიც აშკარაა, ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან შეთანხმებით მუშაობენ.

სახელმწიფო კომიტეტის ჰელენარული სხდომა თებერვლის 18 დან 21 იხილავს კონსტიტუციის პროექტს, რომელიც ეროვნულ ყრილობას გადაეცემა.

პრემიერ მინისტრმა შეიდემანმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ოპტიმისტური შეხედულება გამოსთქვა ეროვნულ ყრილობის მუშაობის შესახებ. მან სთქვა, რომ ეროვნული ყრილობა მწყობრათ მუშაობს და 8 უძლიერეს პარტიისაგან კოალიციის პრინციპით უმრავლესობის შექმნა პოლიტიკურადაც და პრაქტიკულადაც სწორი გამოდგა. ყოველი ცდა ამ კოალიციის დასარღვევად აქამდე უშედეგო გამოდგა და უფრო მეტიდროთ შეაკავშირა ეს პარტიები. პესიმისტური აზრი გამოსთქვა შეიდემანმა სამხედრო მდგომარეობის შესახებ და განაცხადა: საჭიროა უპატიოსნესი დემოკრატია და ახალი სოციალისტური სული, რა საჭიროა ყოველგვარი ცდა სხვა ერებთან შესაკავშირებლად პროგრესის და წარმატების, თუ კი ჩვენ დადუპვამდე მიგვიყვანს და იქნება დადუპვის დროს თან ჩავიტანოთ ევროპის მომავალი. ეს დიდი საბედისწერო საკითხი მთელი თავის სიმძიმით აღიმართა აგრეთვე ეროვნულ ყრილობის წინაშე. დასასრულ შეიდემანმა სთქვა, რომ მას ვერ წარმოედგინა, რომ ასე დაბრმავდებოდა მოწინააღმდეგე. ამის გამო ასეთი მდგომარეობა კიდევ რამოდენიმე კვირით გაგრძელდება. უნდა აღინიშნოს ერთი: კლემანსოზე თავდასხმა იმის მაჩვენებელია, რომ ახლანდელი მდგომარეობა აუტანელია ჩვენი მტრების მშვიდობიანობისთვისაც.

ხანგრძლივი ავათმყოფობის შამდეგ გარდაიცვალა ბერლინის ცნობილი სკულპტორი ლეგის ტუალილონი.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

IX

პროლეტარიატის შეგნებული ინტერესები მოითხოვენ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას; საკუთარი ვაჭრობა მრეწველობის აღორძინებას და ეროვნული კაპიტალის შექმნას; ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს მის კლასიფურათ დარაზმვას.

მაგრამ ამით მე იმის თქმა არ მინდა, რომ ეროვნული კაპიტალისა და ვაჭრობა მრეწველობისათვის მუ ათა კლასმა უნდა თავისი კლასიური ინტერესები დავიწყოს, ამით იმას არ ვამბობ, რომ ბურჟუაზიას და სახელმწიფოს, რომლებთანაც მას ამ ჟამათ ბევრი საერთო ინტერესები აქვს, თავისი ინტერესები შესწიროს და ანაცვალოს.

დღეს-დღეობით, როდესაც თავს ერთად იყრიან სახელმწიფოებრივი და მუშათა ინტერესები, შეთანხმებული უნდა იყვეს საერთო საქმეს ინტერესებთან,

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ მუშათა ბრძოლა ეკონომიურ ნიადაგზე არ უნდა სცილდებოდეს იმ საზღვრებს, რომლების იქით გადასვლა ჭკვავს წარმოებას. მით უმეტეს ეს უნდა ითქვას ამ ჟამათ, როცა სახელმწიფოებრივი ხასიათის წარმოებისადმი შეუფერებელი, ზედმეტი მოთხოვნილებების წარდგენით მისი დადამბლავება-ჩაკვლა დემოკრატიზმის დასაბარებას ფრრის.

მუშები წარმოების მომკვლელი გადაჭარბებული მოთხოვნილებებისა სჭრიან იმ ტოტს, რომელზედაც თვითონაც სხედან. თავდაცვის და არსებობის საღი გონება მათ უნდა უკარნახებდეს, რომ წარმოებას მუდამ [illegible] ჰქონდეს [illegible]ობისა, რათა ამით უზრუნველყოფილი იყვეს ის ერთად ერთი წყარო, სელფასი, ურომლისოდაც არსებობა მუშათა კლასს არ შეუძლია.

მოთხოვნილებების წარდგენის დროს მუშებმა უნდა იხელმძღვანელონ ისეთი საზომით, რომელიც, ერთი მხრით, არ აღემატება ზედმეტ დირებულებას, მეორე მხრივ, მუშათა აუცილებელ მოთხოვნილებებსაც დაკმაყოფილებს; არც მეტი, არც ნაკლები, არამედ ისეთი საშუალო ხაზი, რომელიც წარმოებასაც მისცემს არსებობა-განვითარების საშუალებას და მუშებსაც უზრუნველყოფს.

ამისათვის საჭიროა მუშების პოლიტიკურ გათვითცნობიერებასთან ერთად მათი ეკონომიურათ გათვითცნობიერება, კაპიტალიზმის ყოველმხრივი შესწავლა, რაც ამჟამათ და მით უმეტეს მომავალში აუცილებელია. სახელმწიფოებრივი ამუნენელობის დროს ეკონომიური მხარე ცხოვრებისა აშკარავდება და საჭირო ხდება ყველა ასეთ კითხვაში გარკვევა.

როგორც საერთაშორისო, ისე ჩვენი პაწია სახელმწიფოებრივი მასშტაბით მომავალში ეკონომიური საკითხები უფრო მეტ ადგილს დაიჭერენ, როდესაც საერთაშორისო სისხლის ღვრა მოისპობა; პოლიტიკურ და ეკონომიურ კითხვათა შორის მჭიდრო კავშირი მომავალში უფრო ნათელი იქნება.

ეკონომიურ კითხვებში სათანადო გარკვევის შემწეობით სწორი კლასიური პოლიტიკით მუშები უნდა დაეხმარონ მთავრობას ზემოთ დასახსიათებულ ეკონომიური პოლიტიკის წარმოებაში.

X.

საჭიროა, საკუთარი ინიციატივის უნარის, თავისნობის და თვით-მოქმედების გამოჩენა ყველაფერში, მით უმეტეს ეკონომიურ სფეროში.

ჩვენი შინაური და გარეშე მდგომარეობის განმტკიცებისათვის საჭიროა ზემოთ დასახსიათებული ეკონომიური პოლიტიკით მთავრობამ ორი ძლიერი ყავარჯენი შეჰქმნას დემოკრატიული სახელმწიფოს დასაყრდნობათ: სოფლის კულტურული მეურნეობა უპირველეს ყოველისა და ინდუსტრია.

საერთაშორისო დემოკრატია სახვრელ ომთან ერთად პირველ ყოველისა მოსპობს წვრილი ერების დამონავებას.

ᲒᲕᲔᲚᲘᲡ ᲨᲐᲒ-ᲑᲜᲔᲚ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲗᲐ ᲒᲠᲔᲑᲘᲚᲨᲘ ᲒᲐᲜᲣᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲔᲑᲘ, ᲡᲘᲚᲐᲢᲐᲙᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲝᲑᲐ; ᲓᲐᲓᲒᲐ ᲓᲠᲝ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲡᲔᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ.

როგორც საერთაშორისო, ისე ჩვენი პაწია სახელმწიფოებრივი მასშტაბით მომავალში ეკონომიური საკითხები უფრო მეტ ადგილს დაიჭერენ, როდესაც საერთაშორისო სისხლის ღვრა მოისპობა; პოლიტიკურ და ეკონომიურ კითხვათა შორის მჭიდრო კავშირი მომავალში უფრო ნათელი იქნება.

ეკონომიურ კითხვებში სათანადო გარკვევის შემწეობით სწორი კლასიური პოლიტიკით მუშები უნდა დაეხმარონ მთავრობას ზემოთ დასახსიათებულ ეკონომიური პოლიტიკის წარმოებაში.

X.

საჭიროა, საკუთარი ინიციატივის უნარის, თავისნობის და თვით-მოქმედების გამოჩენა ყველაფერში, მით უმეტეს ეკონომიურ სფეროში.

ჩვენი შინაური და გარეშე მდგომარეობის განმტკიცებისათვის საჭიროა ზემოთ დასახსიათებული ეკონომიური პოლიტიკით მთავრობამ ორი ძლიერი ყავარჯენი შეჰქმნას დემოკრატიული სახელმწიფოს დასაყრდნობათ: სოფლის კულტურული მეურნეობა უპირველეს ყოველისა და ინდუსტრია.

საერთაშორისო დემოკრატია სახვრელ ომთან ერთად პირველ ყოველისა მოსპობს წვრილი ერების დამონავებას.

ᲒᲕᲔᲚᲘᲡ ᲨᲐᲒ-ᲑᲜᲔᲚ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲗᲐ ᲒᲠᲔᲑᲘᲚᲨᲘ ᲒᲐᲜᲣᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲔᲑᲘ, ᲡᲘᲚᲐᲢᲐᲙᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲝᲑᲐ; ᲓᲐᲓᲒᲐ ᲓᲠᲝ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲡᲔᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲘᲗ ᲛᲔ ᲘᲛᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲛᲠᲔᲣᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲣ ᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲝᲗ, ᲐᲛᲘᲗ ᲘᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲛᲑᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲗᲐᲜᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲐᲛ ᲯᲐᲛᲐᲗ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲗ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲣᲨᲕᲘᲡᲬᲘᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲪᲕᲐᲚᲝᲡ.

ᲯᲣᲠᲢ ᲔᲘᲡᲜᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲙᲕᲚᲐᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲦᲕᲚᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲕᲘᲐ ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲨᲘ. ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲐᲜᲓᲠᲔᲯᲔᲚᲡᲙᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲛ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲐᲜᲓᲠᲔᲯᲔᲚᲡᲙᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲛ ᲙᲝᲛ

ბოლიანების ინფორმაცია, რომელიც არწმუნებდა ინგლისის მისიას, რომ საქართველოს ჯარმა პირველმა მიიტანა იერიში. და ეს იყო საბაბი ომის დაწყებისო. ნათესაობა ამ ორ ცნობის ცხადია. ცხადია ისიც, თუ ვინ ქმნის ამ საშინელ ატმოსფერას, რომელშიაც გახვეულია ჩვენი რესპუბლიკა. ასეთი მძულვარებით გამსჭვალული კრიტიკა, არის ნიადაგი, რომელზედაც იზრდება შფოთი და მტრობა სხვადასხვა ერებისა და ეერძოთ ქართველებსა და სომხებს შორის. ასეთი სიტყვები დამამტკიცებელია მისი, რომ ჩვენ არ უნდა მოველოდეთ ურთიერთ შორის კარგ განწყობილებას, თუ კი სომხის ხალხის ბედი ავეტისიანების ხელში იქნება. მაშინ, როდესაც ერთი და იგივე პარტიის წევრები სხვადასხვა სიტყვებით გვიმასპინძლდებიან, ეს ან მათი ულოდიკომით აიხსნება ან და წინასწარ განზრახვით. მთავრობა აცხადებს, რომ შეცდომები შეიძლება იყოს მის მოქმედებაში და კრიტიკის მას არეშნიან, მაგრამ, როდესაც კრიტიკის მაგივრად გვესმის სიძულვილი ტ სხვა არაფერი, ჩვენ ვიტყვით, რომ ეს არ არის კრიტიკა არამედ სულ სხვა რამ.

მდივანი კითხულობს პარლამენტის წევრის აბეერდოვის განცხადებას, რომ იგი უარს ამბობს პარლამენტის წევრობაზე, რადგანაც ადერბეიჯანის მთავრობის მიერ სამსახურში არის მიწვეული.

კრება იხურება დღის 5 საათზე. კამათი გრძელდება.

ეროვ თა წარმომადგენლების ყრილობა

21 თებერვლის ხდომა.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ ყრილობამ მოისმინა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელ გ. ნანეიშვილის მოხსენება სამინისტროს და ერობათა ურთიერთ შორის დამოკიდებულობის შესახებ. მომხსენებელი ვრცლათ შეეხო ერობის თვითმართველობათა მატერიალურ კომპეტენციას, აღნიშნა ის სფეროები, სადაც ვითარდება, ანუ შეიძლება განვითარდეს მეტოქეობა ცენტრალურ დაწესებულებებს და ადგილობრივ ორგანოთა შორის, აგრეთვე ხაზი გაუსვა ასეთ სფეროებს, რომელნიც საკანონმდებლო ორგანოებზე. სფეროების განაწილება ცენტრსა და ადგილობრივ ორგანოთა შორის უნდა მოხდეს არა ბრძანებლობის, არამედ შრომის განაწილების პრინციპზე.

მართველობა უნდა იქნეს მარტივი და უბრალო. ამიტომ გაუქმებულ უნდა იქნას საგუბერნიო ერთეულები, როგორც შუამავალი დაწესებულება ადგილობრივ ორგანოთა და ცენტრს შორის. საგუბერნიო დაწესებულების ერობებზე გადაცემის შემდეგ იკონომიურად სუსტი ერობები ვერ შეძლებენ ცალ-ცალკე ახალი ფუნქციების შესრულებას. ამიტომ საჭირო არის შეერთებული მოდვაწეობა რამდენიმე ერობები ერთად. და რადგანაც ადგილობრივი ერობები უფლების სუბიექტი არიან, მით შეუძლებელია, როდესაც ამას საჭიროდ დაინახავენ, შეკრან კავშირი და მოაწყონ ყრილობები იმ საკითხების გადასაწყვეტათ, რომელიც მათ კომპეტენციაში შედის. ცენტრალურ ორგანოებს უნდა ქონდეთ თვალყური დევნება, რომ ხელშეკრებულებანი სისრულეში მოყვანილ იქნეს, რადგან უეცრივი შეწვეტა ასეთი შრომის კავშირებისა შეიძლება გახდეს მეტის მეტი კატასტროფული რომელიმე მხარისათვის. ეს კავშირები არ თავდებიან იმ საზღვრებში, რომლებიც ფარგლავენ ადმინისტრატიულ ერთეულებს, როგორიც არიან მაზრა და გუბერნია.

ინტერესები რაციონალურ მმართველობის მ წესრიგებისა მოითხოვენ, რომ ცენტრალურ ორგანოებს ქონდეთ უფლება ყოველთვის, როდესაც ამას საჭიროდ დაინახავენ, მიაწოდონ ადგილობრივ სახელმძღვანელოდ ინსტრუქციები, ცირკულიარები და ცნობები და ქონდეთ თვალყურის დევნება, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა შეასრულონ კანონის ბრძანებლობა და დასახული ფინანსიური ზომებით არ შეფერხონ სახელმწიფოს მეურნეობის მსვლელობა. ეს დამოკიდებულება მტკიცდება შრომას განათლების პრინციპზედ.

ყრილობამ დადგინა ეს მოხსენება გადაეცეს ადმინისტრატიულ კომისიას, რომელიც აქვე უნდა იქნეს არჩეული. ამის შემდეგ ყრილობას ესალმება მთავრობის სახელით **ნ რამიშვილი,** რომლის გამოვლენს ყრილობა ტაშის ცემით ხვდება. დემოკრატიული მთავრობა,—ამბობს მინისტრი,— ეკუთვნოდა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, შემდეგ ის დაეყრდნობა ხალხის თვითმართველობებს. მთავრობა გრძნობს, თუ რამდენად მძიმეა ის ტვირთი, რომელიც თქვენ დაგაკისრათ ხალხმა, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ორი შტო—ხალხის თვითმართველობანი და მათი გამაერთიანებელი მთავრობა შეძლებენ ყოველგვარი დაბრკოლებების გადახილვას. მთავრობა აგრეთვე ღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ მხოლოდ თვითმართველობათა განმტკიცებით შეიძლება დემოკრატიის ბატონობის განმტკიცება. (ტაში)

ქალაქთა კავშირის სახელით ყრილობას მიესალმა **ნ. ელიავა,** რომელმაც იმედი გამოსთქვა, რომ ყრილობა შექმნის ერთგვარ ცენტრს, რომელთანაც ქალაქთა კავშირს საშუალება ექნება გაბას კავშირი. დ. ონიაშვილმა ყრილობის სახელით მადლობა გადაუხადა მთავრობის და ქალაქთა კავშირის წარმომადგენლებს.

შემდეგ მოხსენებები წაიკითხეს მიწათმოქმედების და განათლების სამინისტროების წარმომადგენლებმა. მოხსენებები გადაეცა განსახილველად და აზრის წარმოსადგენლათ სათანადო კომისიებს.

ყრილობამ აირჩია სამი კომისია: ადმინისტრატიული: მალნარაძე, ონიაშვილი, კლიმიაშვილი. აგრონომიული: ახალაძე, სოლორაშვილი და ვახვახიშვილი. საშკოლო: მითაიშვილი, რობაქიძე და კლიმიაშვილი.

ყრილობამ დაადგინა: დილით იმუშაონ კომისიებმა, ხოლო სადამოობით 5 საათზე ხდებოდეს ყრილობის სხდომა.

ა. ხ.

იუსტიციის სამინისტროში

საპყრობილეთა რევიზია. იუსტიციის მინისტრის განკარგულებით დანიშნულ სარევიზიო კომისიის წინასწარ მოხსენების გამო სამინისტრომ სამსახურიდან გადაყენა საპყრობილეთა ინსპექციის და თფილისის საპყრობილეთა უმაღლეს ადმინისტრაციის მთელი შემადგენლობა, სახელდობრ: ინსპექტორის და მისი უფროსის თანაშემწის თანამდებობის ადმასრულებელნი, № 1 საგუბერნიო და № 2 მეტეხის ციხის უფროსები. ამასთან ერთად მოეწერა თფილისის სასამართლო პალატის პროკურორს, რომ საქმის წინასწარი გამოძიება დანიშნოს და სამართალში მისცეს ყველა დამნაშავე პირნი.

სამსახურიდან გადაყენებულ პირთა მაგიერ დანიშნენ: საპყრობილეთა ინსპექტორის თანამდებობის ადმასრულებლად—სამხედრო გამომძიებლად ნამყოფი, უკანასკნელად იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებელი და საპყრობილეთა ნაწილის სარევიზიო კომისიის წევრი ალ. სვ. უფიანი, მისი თანაშემწის თანამდებობის ადმასრულებლად—ყოფილი მდივანი საპყრობილეთა ინსპექციის კანცელარიისა ალ. ლვინიაშვილი, № 1 და № 2 საპყრობილეთა უფროსების თანამდებობის ადმასრულებლად № 1 ციხის უფროსის თანაშემწე პოროჩიკი ა. დ. კომბიაშვილი და სადგ. ყაზბეგის ყოფილი კომენდანტი კ. ჯაფარიძე.

ახლად დანიშნულ მეთაურს საპყრობილეთა ნაწილისას წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები საპყრობილეთა სანიტარულ მდგომარეობის გასუჯობესებლად და მათში წესრიგის დასამყარებლად. სანიტარულ ნაწილის მეთაური რშმუნებულთან და თფილისის გენერალ გუბერნატორთან შეთანხმებით, ხოლო სარევიზიო კომისიას დაევალა კვლავ განაგრძოს რევიზია და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ციხის ქონების საკითხს.

მუშათა შორის

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მოწოდება.

თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ შემდეგი მოწოდებით მიმართა ანხანაგ მუშებს:

პროფესიონალურ კავშირთა საბჭო—ეს ფხიზელი დარაჯი თქვენი ინტერესებისა, ხმა მაღლა გიცხადებთ თქვენ:

საშინელი შემაძრწუნებელი საფრთხეა აღმართული თქვენ წინ, რომელიც უქადის განადგურებას თქვენს ფიზიკურ არსებობას, ბრძოლით მოპოებულ ეკონომიურ უფლებებს და თქვენ თავისუფლებას. ეურაცხელმა მტერმა მუშათა კლასისა, ყველა ჯურის რეაქციონერებთა, მაღლიანი რუსეთის დემოკრატიული ფრონტის გარღვევასთან ერთათ შესძლეს გარეშე ძალის მეხებით შეეკრათ ბჭე-დრო ორგანიზაცია, რათა მუშათა კლასის საქმე დაესამარებიათ, თქვენი დემოკრატიული კავშირები დაეხანგრიათ ცალცალით თუ მახვილით. რუსეთში ერთი კუთხეც არ დაუტოვებიათ, სადაც შესაძლებელი იქნებოდა დარჩენილიყო რევოლიუციის მონაპოვარი პოლიტიკური თავისუფლება და დემოკრატიული წესწყობილებანი, რომელნიც ადრე თუ გვიან მიგვიყვანენ ჩვენ საბოლოო მიზნამდე—სოციალიზმამდე.

თქვენ იცით, რომ კიდევაც შესძლეს თითქმის მთელ რუსეთში რეაქციის გაბატონება, მხოლოდ პატარა საქართველო დარჩა, სადაც მშრომელ ხალხს ისევ მაღლა უჭირავს დროშა თავისუფლებისა, დროშა ერთობისა და ერთა სოლიდარობისა. და აი ეხლა ჩრდილოეთიდან დაიძრა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წინააღმდეგ საშინელი ურდოები ნიკოლოზ მეორეს გენერლობის მეთაურობით. გენერალ დენიკინის ხელმძღვანელობით ცდილობენ მოუღონ ბოლო მათთვის ეგზომ საშინელს დემოკრატიულ წესწყობილებას ხალხისა; სადაც კი შესდგეს მათ ფეხი ყველგან შემოიღეს სიკვდილი და რბევა!

ეს შავბნელი რეაქციის მოციქულები, სადაც კი ხელი მიუწვდებათ, ყველგან 1905—1906 წ. დამსჯელ რაზმებისამებრ ყველაფერს ანადგურებენ, მიწასთან ასწორებენ. სრული თანხმობით შავ რეაქციის წარმომადგენელ გენერალ დენიკინთან მოქმედებენ ვეფური, სიხლის მწყურვალე ბრბოები, ოსმალთა ფეოდალებისა სამბრეთის მხრივ; მაგრამ ჩვენი გმირი სახალხო გვარდია, რომელიც თქვენ წრეში აღიზარდა, მამაცურად ებრძვის გაფთრებულ მტერს და თავგამოდებით იცავს საყვარელ თავისუფალ სამშობლოს. ეს გვაძლევს ჩვენ სრულ უფლებას და იმედს იმისას, რომ მტერი ვერ შემოიკრებს ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მაგრამ ჩვენ გვიჭირს ზურგში. ჩვენ გვმართებს დიდი სიფრთხილე, რადგან აქაც წამოყვეს ბნელეთის მოციქულებმა თავი, რომ ააფეთქონ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შიგნიდან.

აბი ა გამო შეერთებულმა კრებამ საბჭოისამ ყველა პროფესიონალურ კავშირებთან და რკინის გზის მუშებთან ერთად დაადგინა 12 ამ თვის კრებაზე: მიიღოს ყოველგვარი ზომები სახალხო გვარდიის რაზმების შესავსებათ, და შიგ, სახელმწიფოში, წესრიგის დამცველ რაზმთა შესადგენათ. საბჭო მიმართავს ყველა რევოლიუციონურ მუშებს თავიანთ კავშირში ჩაეწერონ სახალხო გვარდიის რაზმებში ჩასარიცხავად და რევოლიუციონური წესრიგის დასაცველად.

არა ერთხელ ყოველგვარ განსაცდელისაგან გამარჯვებული გამოსულა საქართველოს დემოკრატია და ეხლაც გვრწამს ის გაიმარჯვებს.

მაშ, წინ ამხანაგებო! შემოკრებით რევოლიუციონური წითელი დროშის გარშემო რეაქციასთან საბრძოლველად. ჩვენი მიზანია—გამარჯვება შავ რეაქციაზე.

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას.

გაუმარჯოს ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს სოციალიზმს.

ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 20 თებერვალს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის და ამავე რაიონის ქვე კოლექტივების წევრთა შეერთებული კრება. განსახილველი იყო კითხვები: მოხსენება ადგილებიდან, ფონდის შესახებ, პარტიული მუშაობა ქვე კოლექტივებში. კომ. წარმომადგენელი ამცნობს კრებას, რომ შაბათს ქალაქის სობჭოს დარბაზში მოხდება შეერთებული კრება ცენტრ. კომ., თფილისის კომიტეტებისა და რაიონულ კოლექტივების, სადაც დამფუძნებელ კრებისა და მისი ფუნქციების შესახებ ვაკეთებენ მოხსენებას.

კრებამ მოისმინა ადგილებიდან მოხსენებები. გამოირკვა, რომ ის ნაკლი, რომელიც ქალაქის არჩევნებში იყო, დამფუძნებელ კრების არჩევნებში აღარ ემჩნეოდა და მუშაობაც გაორკეცებული ყოფილა და მომუშავე ამხანაგები დიდი სიფხიზლით ეკიდებოდნენ საქმეს. როგორც ერთობის უბნის წარმომადგენელის მოხსენებიდან გამოირკვა, მეოცდათექვსმეტე საარჩევნო ყუთთან შემდეგ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. მაშვრალთა პარტიის ხელმძღვანელობით ყუთთან გამოცხადებულან რამოდენიმე პირი ყალბი ბარათებით, ეს შეუჩნევია იქ მყოფ ჩვენ ამხანაგებს და ისინი დაუპატიჟებიათ. მათ შორის აღმოჩენილა მაშვრალთა პარტიის ლიდერის ცოლი ვინმე დგებუაძის ქალი, რომელმაც საარჩევნო კომისიის წევრთ და ჩვენს მთავრობას ანდარმები და თვით მპყრობელი უწოდა თურმე!

დამფუძნებელ კრების ფონდის შესახებ კრება ადგენს, ეთხოვოს იმ ამხანაგებს, რომლებსაც ფულის შესაკრეფი წიგნაკები აქვთ წაღებული, დროზე წარმოადგენონ ანგარიში. საწევრო გადასახადის შესახებ კრება წინადადებას აძლევს იმ ჩვენს ამხანაგებს, რომლებსაც ჯერაც არ შემოუტანიათ გადასახადი, შეეცადნონ თავის დროზე შემოიტანონ და ნუ დაარღვევენ წესდების მესამე მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ პარტიის წევრი, რომელიც სამი თვის განმავლობაში საწევრო გადასახადს არ შეიტანს გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გამოწვეულია საპატიო მიზეზით, პარტიიდან გარიცხულათ ითვლება.

რაც შეეხება მცირე კოლექტივებში პარტიულ მუშაობის საკითხს, კრება ადგენს,—მიიღებულ იქნას ენერგიული ზომები ქვე კოლექტივებში პარტიულ მუშაობის გაძლიერების შესახებ.

თედ. ხუხუნაიშვილი.

პროვინცია

ხენაკის სამაზრო ერობის გამგეობა უკვე შეუდგა მაზრის ადმინისტრაციის მოლიციის მთელი მათი ქონებით და საქმეებით თავის განკარგულებაში ჩაბარებას.

გამგეობამ შეიძინა მაზრის მცხოვრებთა საჭიროებისათვის ერთი ცისტერნი ნავთი და 40 ათასი არშინი მიტკალი. X.

ნერილი რედ. მიმართ

ღია წერილი „ჰარაჩ“-ს რედაქციას, ორგანოს „დაშნაკცუტიუნის პარტიისას“.

მე-32 გაზეთის ნომერში ოც ამა თვისა რედაქცია ბრალს სდებს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას იმაში, რომ ის აწარმოებს ნაციონალურ პოლიტიკას და ზემართავს სომხის მუშების წინააღმდეგ რეპრესიებს. სხვათა შორის გაზეთი აცხადებს: „სამწუხაროდ დემოკრატია არამც თუ ღებულობს ზომებს ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ მთავრობისადმი, პირიქით, მთელი რიგი თფილისის პროფესიონალური კავშირებისა აწვდიან მასალებს ადგილობრივ „ოხრანკა“-ს დაბეზღების, რომლებითაც მუშები, როგორც არა სასურველი პირები უნდა გადასახლებულ იქნან“. მე, როგორც წარმომადგენელი ყველა თფილისის პროფესიონალურ კავშირებისა, წინადადებას ვაძლევ გაზეთ „ჰარაჩ“-ს რედაქციას სამი დღის განმავლობაში დამისახელოს ერთი შემთხვევა, როდის და რომელ პირობებში პროფესიონალური კავშირები აწვდიდენ მასალებს ადგილობრივ „ოხრანკას“ და რომელი პიროვნებები იქმნენ გადასახლებული პროფესიონალური კავშირების დაბეზღებით.

თავმჯდომარის ამხანაგი თფილისის პროფესიონალურ კავშირებისა **ალფეხი ხელაძე.** ქ. თფილისი 21 თებ., 1919 წ.

განცხადებანი

ეძიები

ანასტასი ლვოვიჩი-ორლოვსკი

მიიღეს შინაგან სნეულებიან და ბავშვების ავადმყოფებს. სპეციალურად მალარიის (ციების) წამლობა. ყოველ დღე დილის 12—2 ს. და სადამოს 6—7. ქსენიევის ქ. № 9, ტელ. 12—88.(25—11)

ექ. დ. ი. ჯაფარ ძე

დებულობს: შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ, საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—35.

ექიმი

ვ.ნ.ჩუპრინინი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე 1—3 საათამდე. მისამართი: ნაძალადევი. ბასსეინის ქუჩა № 30.

ძველი ნიკოლოზ ივანეს ძე

მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით(ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, **ხასხლის ნაკლებობით, გულის, ფილტვის, ქარებით** და სხვა **შინაგან სნეულებით** ავადმყოფთ ყოველ დღე საადამოო 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის ფფთიაქის ახლოს.

ძველი ს. ა. შაშარანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშბაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საადამოს 5—8 საათამდე. ქალების საადამოს 4—5 საათამდე. კვირაობითი მხოლოდ დილით. მისამ: ოლდას ქ. № 33.

მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. ვ. მეგრაგიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ტუბერკულოზი და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. დარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

ექიმი

ნ. გ. გეგეჭკორი

სპეციალურად—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყორლანოვის ქუჩა №10. მიღება საღამ. 5—7 საათ. ტელ. 17—68.

ექიმი

კეკელია

იღებს ფურცრიულ სნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშბაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ. ტელ. 14—28.

ექიმი

ი. გ. პონიევი

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ვერა ვარდის უბნის ქ. № 3.

ექიმი ძალი

ე. ს. კარუკეს — ბებურიშვილი

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 12—2 საღამოს 4—6 საათ. იძლევა საბებიო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ექიმ ქალი

ვ ა ი ნ ი

იღებს სპეციალურად საბებიო და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოს 3—6 საათ. მისამართი: სეფდენაია, 33 ეზოში.

ბაბანა თბილისს საავადმყოფოში

(შუამავალი საშოლებით)

ექიმი დონინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „ეპოლოს“ ახლოს) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ყბიდან საექიმო კანონიერი თბილისის საავადმყოფოს ძე ცოტნიანიძისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. ვერა, კვირა დღეებისა. მისამართი: ალოიანის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—85.

ა. ნ. შატილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სეფიონოვის ქუჩა, სახ. № 4(ვლადიმერ ბიდის ახლოს).

რევმატიზმი

ეწამლება რევმატიზმი ბალახებით შეზავებულ წამლებით (დაზელით) მისამართი: მიხეილის ქ. № 48 ეზოში. მიღება საღამოს 3—5 საათამდე.

ექიმ ქალი

რ. გ. შიოლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ქიევის უნივერსიტეტისა და ეკატერინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

საქველმოქმედო საღამო

შაბათს, 1 მარტს (ახ. სტ) საღამოს 6 საათ. საბურთალოზე სეგალტი მიქელის ძე გაჩიჩილაძის სახლში საქველმოქმედო მიზნით

იმპართეგა საღამო

ბილეთების შეძენა შეიძლება ალაგობრივ. (იქნება ზურნა და სიმებიანი ორკესტრი). **სალამოს გამმართველნი:** დავით მოსეს ძე წითურაშვილი, მარიამ მოსეს ასული წითურაშვილი, სოფიო ვასილის ასული ვენცეი, მარიამ გიორგის ასული კუბლაშვილი და სხვ. (3—1)

დუშეთის მაზრაში ასარჩევია **მომრიგებელი მოსამართლეები**

ჯამაგირები მომატებულია. თხოვნები მიიღება ამ წლის 20—მარტამდის.

დუშეთის სამაზრო ერობის გამგეობა. (5—1)

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

სამშაბათს 25 თებერვალს, კომპოზიტორ ზ. პ. ფალიაშვილის 25 წლის სამფსიკოლოგიურ მოღვაწეობის აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნება

აგესალომ და ეთერი

5 მოქ. ორიგ. ოპერა ზ. ფალიაშვილისა.

მონაიწილეობას მიიღებენ: შულგინა, ზალიპაკი, ინაშვილი, ლორთქიფანიძე. ოთხშაბათს 26 თებერვალს, პრიმა ბალერინა ბაუერზაკისა და ბალეტმეისტერის ვაკანსიის ბენეფისი. I კონპელია II ვაკხის გაღვიძება.

თფილისის ქალაქის სასურსათო განყოფილება უშვებს მოქალაქეთა საჭიროებისათვის

ნახშირსა და მარილს

ნახშირის მოლებისათვის საქართველოს საწლის კომიტეტის განცხადება. განცხადება შემოწმებული უნდა იყოს უბნის სასურსათო კომიტეტის მიერ. ნახშირი მიეცემათ თვითეულ რაციონზე 20 გირვანქა, 15 მანეთის ოდენობაზე ფუთი. მარილს—ფუნტს მიიღებს ყველა განუსაზღვრელად რაოდენობისა განცხადების წარდგენის შემდეგ, 21 მანეთად ფუთს, ხოლო კუნტ მარილს 15 მან.

თფილისის ქალაქის სასურსათო განყოფილება. (3—1)

განცხადება

1919 წლის თებერვლის 13 ჩვენმა მეგობარმა ტიტიჩევმა მიწას მიაბარა თავისი ვაჟიშვილი პირველი საკომერციო სასწავლებლის მოწ 7 კლასის მოწაფე ვანუშა ტიტიჩევი. ჩვენ მისი მამის ნიკოლა ტიტიჩევის (ცაცანაშვილის) გულითადმა მეგობრებმა მიცვალებულის ხსოვნის აღსანიშნავად ურთიერთშორის შეეგროვებინა ფული 1450 მ. გვირგვინის მაგივრად, რომელიც უნდა გადაეცეს პირველ საკომერციო სასწავლებელს და ვსთხოვთ ამ სასწავლებლის გამგეს გარდაცვალებულის ორმოცის თავზე პატარა სცენ.

შემომწირ. სია: ივ. ჩარკინოვი, ა. ოჰანეზოვი, შ. ლომსაძე, ი. აბაშიძე, ტ. არუთინოვი, გ. არუთინოვი, ს. თალგაიანცი, ს. მარტიროზოვი, გ. ვახტანგოვი, სერ. ფანიევი, ვანო სარუმოვი, შაქრო ჩიკვაიძე, ა. ბუდიევი, მიხო ასლამაზოვი, საბა თოფუროვი, ოჰანეს არაქელოვი, ალექს. მოსესოვი, ნიკ. მელქოვი, სერგ. ლანქსშვილი, არუთინ სტეფანოვი, კოლია ჭეჭანაძე, გ. ბეკურიშვილაბადა, სოსო ტურიევი, კორნ. ქარელოვი, ტიგო სამოვი, ბაგრ. მაირამოვი, მეფურნე სოსო ქობულოვი, ბაგრატ სალიანცი. (1—1)

ეშვაკი და თაგუნა

„ა ხ ი რ ე ბ უ ლ ი“

გ ა მ ო ვ ი დ ა რ ვ ე უ ლ ი П.

საწყობი „ერთობის“ კანტორაში.

დასურათებული საუმაწვილო ყოველთვიური ჟურნალი

1919 წლ. **ნაკადული** წელიწადი მეთხუთმეტე

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით მცირეწლოვანთა და მოზრდილთათვის თვეში ერთჯელ, მცირეწლოვანთათვის 48 გვერდ. და მოზრდილთათვის 64 გვ. ფასი ჟურნალისა ერთი წლით ორივე გამოცემა—55 მან. ცალ-ცალკე 30 მან. ჟურნალი ქალაღლისა და ბეჭდვის სიძვირის გამო დაიბეჭდება განსაზღვრული რიცხვი და მსურველთ ვსთხოვთ დროით დაიკვეთონ. ხელის მოწერა მიიღება „ნაკადულის“ რედაქციაში, თფილისი გოლოვინის და დავითის ქ კუთხე 8—2 ს. შესასვლელი დავითის ქ. № 2.